# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


შინაარსი: ტფილისი, 20 ივნისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: სოფ. ბარალეთი.—ნარკვევი.—უცხოეთი.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: საკვირაო სხარტულა, სასოსი.

ტფილისი, 20 ივნისი

მკითხველებისათვის ახალი აზრი არ იქნება, როდესაც ვიტყვით, რომ ჩვენში სასოფლო ბანკებმა ფეხი ვერ მოიკიდეს. სასოფლო ბანკების დედააზრი ის არის, რომ გლეხ-კაცს ღონისძიება ჰქონდეს, თითო-ოროლა გროში, დაზოგვით გადარჩენილი, სადმე საიმედო ადგილას მიაბაროს შესანახავად და, თუ გაუჭირდეს, სახსარი ჰქონდეს იქიდამვე იაფად და ადვილად ფული ისესხოს და გაჭირებაში ხელი გაიმართოს.

ეს აზრი, ეს ჩინებული იმედი ვერ გაამართლა აქამომდე თითქმის ვერც ერთმა სასოფლო ბანკმა იმ ზომამდე, სადამდისაც ეს იყო სანატრელი და ერთის შეხედვით თითქო ადვილი მოსახერხებელიც. მართლაც და იმაზე კარგი და ადვილი რაღა უნდა იყოს, რომ ერთის საზოგადოების ანუ დიდ სოფლის გლეხობამ და თავად-აზნაურობამ ერთს ადგილას მოუყარონ თავი შავის დღისათვის გადადებულ შეძლებას და, იმის მაგიერ, რომ ცალკე-ცალკე ქილებში უქმად იდოს ეს ქონება, ჩააბარონ სანდო კაცებსა იმ პირობით, რომ გაჭირებულს წევრს ასეთის ამხანაგობისას შეძლოს, ცოტაოდენ სარგებლის გადახდით, ხელი მოიმართოს და შემდეგ, როცა ხელს მოინაცვლებს, ვადაზე ჩააბაროს ამ პატარა ბანკს სესხი თავისის სარგებლით და ამ სახით, ქონების პატრონსაც ცოტა რამ არგოს და თითონაც ირგოს.

ასეცა ვფიქრობდით თავდაპირველ, ასეც გვეადვილებოდა საქმე და წინადვე ვსტკბებოდით იმედებით, რომ ჩვენი გლეხობა ამიერიდგან და უკუნისამდე დააძვრენს კისერს იმ მძიმე უღელს, რომელიც დიდი ხანია ტვირთად ედო ქედზე და რომელიც თავისუფალს კაცს ფულიან კაცების ყურ-მოჭრილ ყმად ჰხდიდა.

აგერ ეს ათ წელიწადზე მეტია, რაც აქა-იქ ჩვენმა გლეხობამ გაიმართა ამ აზრით პატარ-პატარა სასოფლო ბანკები. ვისაც-კი ცოტაოდნივ გარემოება ხელს უწყობდა, არავის არ უნდოდა ჩამორჩენოდა თავის მეზობელს, ყველა ეზიდებოდა თავის წვლილს ამ საკეთილო დაწესებულებისაკენ. საქმე გაცხარდა, მოთავენი ისე მხნეობდნენ, რომ სულ ალმული ასდიოდათ სახეზე, ეგებ კაი საფუძველი დავუდოთ ბანკსა, ეგებ უფრო-და-უფრო ცხოველი ძალა მივანიჭოთ ამ ახალს საქმესაო. ვინც ამ გაცხარებულ ბეჯითობას შორიდამ ვუყურებდით, სიამისაგან აღარ ვიცოდით, როგორ მოვთავსებულიყავით ჩვენს ქერქში. რაც ჩვენ მაშინ ამ მოთავეების სადღეგრძელო და გამარჯვება ვსვით, რაც ჩვენ მაშინ ვიხეთქეთ თავები და ამოვიხრანწეთ ყელები მათს «მრავალჟამიერის» ღრიალით, ვინ მოსთვლის!

მართლაც, პირველში თითქმის ყველგან კარგა მიდიოდა საქმე. მაგრამ არ გაევლო სულ ორსა და სამს წელსა, რომ სასოფლო ბანკებში, ხან აქა და ხან იქ, აღმოჩნდა ჯერ სხვა-და-სხვა გვარი ჭოარაობა, ამ ჭოარაობას მოჰყვა რაღაც არა-სასურველი მითქმა-მოთქმა, მერე-და-მერე, თან-და-თან, რაკი საქმეს დაკვირვებით და მუყაითად გავუსინჯეთ კბილი, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ბანკებში ბევრგან თავები მოუყრიათ პატარ-პატარა ქონდრის კაცებს, იუხანცევისა და რიკოვის ბარტყებს, რომელთაც ვინ მოსთქვამს, რა არ ჩაუდენიათ. ამ ქონდრის კაცებს, თურმე ნუ იტყვით, მთელი თავიანთი პატარა ჭკუა და მიხვედრილება მიუმართავთ იმისთვის, რომ სხვა-და-სხვა ხრიკებითა და უსინდისო საქციელით აუბან თვალები ამხანაგობის წევრთ და ხარბის თაგვებივით ზიდონ გლეხობის წვითა და დაგვით მოპოვებული და ვაი-ვაგლახით თავმოყრილი ფული თავიანთ ჯიბეებში. გარდა ამ საშინელ დანაშაულობისა ბანკის გამგეთ ჩაუდენიათ ბევრი სხვა უწესოება. აქამომდე ჯერაც არ გათავებულა ხალხის საჩივარი ამ უწესოებაზე და ან ვინ იცის, როდის გათავდება. აი, იმ დღესაც ჩვენს გაზეთში ბ-ნი მგზავრი გვიამბობდა რუისელ ამხანაგობის ჩივილ-ტირილსა ბანკის უწესოდ გამგეობაზე.

მაგრამ რა საჭიროა ცალკე მაგალითი, როდესაც ყველამ ვიცით, რომ სიხარბე თვითოეულისა და ნათელ-მირონობა ატრიალებს ჩვენის სასოფლო ბანკების ბედსა. ზოგან ასეც მოხდება ხოლმე, რომ გამგებლებს გააქვთ ფული წევრების მაგიერ, აღგენენ მათს სახელობაზე თამასუქებს და თავიანთისავე ხელით აწერენ იმათს სახელსა. ბევრგან თურმე ამ გვარად ერთისა და იმავე კაცის ხელ-მოწერილი თამასუქი ორმოცზე და სამოცზე მეტიც არის ხოლმე სასოფლო ბანკების ყუთში. სამოცის წევრის სახელით ერთს გამგებელს გააქვს ამოდენა თანხა. რაღა უნდა დარჩეს ბანკში, რომ სხვამ, გაჭირებულმა ხელი მოიმართოს? — თითქმის არაფერი. ამის გამო ბევრი წევრი გამოდის ამხანაგობიდამ და ისევ რჩეობს, გაჭირებაში მიჰმართოს ფულიან კაცებს, და იხადოს ურიული სარგებელი, ანუ, უკეთუ არ უჭირს ფული და თითონვე აქვს ორიოდე გადანარჩუნებული მანათი, აღარ ანდობს ბანკს შესანახავად: არ მინდა, შვილოსა, მე იმათი სარგებელი, დეე იგრევ ჩემ ზანდუკში იდოს ე ორიოდე გროში, ორ-ფეხა თაგვები მაინც არ დამიკუწ-გამიწყალებენო.

ერთის სიტყვით, ვერც-კი მოვახერხებთ ჩამოვთვალოთ ამ ქონდრის კაცების მუხანათობა და საქმის ღალატი. ჩვენ მხოლოდ გვწადიან დავეკითხოთ ჩვენს თავსა, რა მიზეზია, რომ აქამდის ასე უბარაქოდ ჩაიარა ჩვენმა სასოფლო ბანკმა და ჯერ კიდევაც არა გვაქვს საბუთი, რომ კაი მერმისი მაინც გვაძლევდეს ნუგეშს მის განკარგებისას.

იქნება თითონ ბანკის წესდება უშლიდეს ხელს ბანკის სასურველ წარმატებას?—ჰო, იქნება ცოტად ესეც იყოს მიზეზი. ზოგჯერ არის ხოლმე ისეთი წესდება, რომ თითონვე უთხრის თავის თავს ძირსა. ბანკის წესდება-კი, თუ ხელს არ უმართავს, ხომ არ უშლის, ამხანაგობამ შეირჩინოს თავის ძირის ფული, თუ მოგება არა, ზარალი მაინც არა ნახოს და სასესხებლად ფული ყველა გაჭირებულს არგუნოს რიგრიგად.

მოთავენი არამც თუ მარტო ქონებით პასუხის-მგებელნი არიან თანხისა და სარგებლის აღებ-მიცემაში, არამედ სასისხლოდ პასუხსაც აგებენ თავის ყოველ უკანონო მოქმედებაზე.

მაშ სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ბანკის უგვანო მსვლელობისა? ვის რა ჯადო უგდია ჩვენის ბანკისათვის, რომ თითქმის ვერსაით ვერ განძრეულა უხიფათოდ და უზარალოდა? რა მაჯლაჯუნა დასწოლია სასოფლო ბანკსა, არჩობს აკვანშივე და არ აძლევს ღონეს, რომ გაიკვეროს გზა ამ ფართო ცხოვრების მოედანზე და მისცეს ერს ის შეღავათი, რომელიც შუბლზე აწერია ყოველ ამ გვარ დაწესებულებას?

თუმცა გვიძძიმს ამ კითხვაზე წრფელ და მიუდგომელ პასუხის გაცემა, მაგრამ სიჩუმითაც არა გამოვარა და ამიტომ უნდა ვაღია-

# ფელეტონი

## საკვირაო სხარტულა

სანატრელ ყოფას რომ იტყვიან, დღეს სწორედ ამ ყოფაშია ჩვენი ქართველი განათლებულად წოდებული საზოგადოება. ტფილისში, თუ სადმე მიყარდნილსა და მიყრუებულს პროვინციაში, ზამთარს თუ ზაფხულს, ყველგან და ყოველთვის ჩვენი მწიგნობარი კაცი სტკბება ცხოვრების სიამით—საჭმელ-სასმელი უხვი, ნაცნობობა, მეგობრობა და ნათესაობა ბლომად, მისვლა-მოსვლა ერთმანერთში გახშირებული. სხვა რაღა უნდა კაცსა, რომ მისი სიცოცხლე სდუღდეს და გადმოდიოდეს. ასეც არის. ჩვენის მწიგნობრობის სიცოცხლე მართლაცადა სდუღს და გადმოდის. ზოგი ერთი ჩათხრობილი და შუბლ-შეჭმუხვნილი უჯერო კაცი გაოცებით იკითხავს—სადა, როდის და ან რითი სდუღს ჩვენის საზოგადოების სიცოცხლე და ან რა გადმოდის ამ დუღილისაგანაო? ჩემის აზრით, ასეთი საკითხავი მარტო იმედ-მიხდილ ურწმუნ-უჯეროს თუ მოუვა თავში, თორემ იმედით სავსე ქართველი აბა ამისთანა სანაცარქექიო საკითხავებზე განა შეიტკივებს თავსა! როგორ თუ რითი სდუღს ჩვენი ცხოვრება? ჰაი, ვენაცვალე იმ ვაზის ყლორტებს, რაზედაც ჩამოგძელდება ხოლმე მშვენიერი ყურძნის მტევანი! აბა, ქართველს კაცს ქვევრში წითელი ნუნუა ეგულებოდეს, და მისი სიცოცხლე არ ადუღდება, მისი გული ბუდიდამ არ ამოვარდება და მერე ამ ღვინის ალში არ ჩაიწვება და არ განჰქრება სანატრელისა და სახელოვანის სიკვდილითა! აქ ქვაც რომ იყოს, ისიც-კი დადნება და აბა ქართველის გული გულის ადგილას როგორ-ღა დადგეს. მართლაც-და, რას აკეთებს ჩვენი საზოგადოება ტფილისს, ქუთაისს, გორს, თელავს და სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში?—მისი სიცოცხლე დუღს წითელის ნუნუის მოხებით და ამ დუღილში გადმოდის... მაგრამ რა გადმოდის? იმედ-მიხდილი კაცი აქაც თავს გაიქნევს და მოგვიშხამავს ქართულს მხიარულებას ასეთის პასუხით: მართალია, ღვინის გამო-კი დუღს ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ გადმოსვლით-კი გადმოდის ლაზღანდარობა, ჭორიკანაობა, ჩხუბი, დავიდარაბა და ბოლომოუღებელი უსაქმურობაო.

**

ერთი კაცმა იკითხოს, ვისთვის არის საჭირო ასეთი უადგილო კიცხვა-კილვა? მაშ რად გვინდა ეს ოხერი წუთი-სოფელი, თუ ჩვენს გაკეთებულს ღვინოს ჩვენვე არ დავლევთ? ყიზილბაშები ხომ არა ვართ, რომ სულელურად უარი ვთქვათ ამ ღვთაებურს სასმელზე. არა, კაცმა ხომ უნდა სვას რამე. წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესიაო, სთქვა ერთმა ქართველმა. რაკი ესეა, დაგვრჩენია „ოტკა“ და ღვინო. „ოტკას“ მივყობთ ხელსა, გვიკიჟინებენ — ქართული არა მოგწონთ-რაო, ღვინოსა ვსვამთ-და, აქაც ნაცილი გამოგვიგდეს: ღვინის სმის მეტს არას აკეთებთო და თუ აკეთებთ, მაგასაც რასმე საჯერანოსაო. დიდება შენთვის ღმერთო, ამ ბაიყუშის და პირ-ქუშის ხალხისას ვერც თავსა და ვერც ბოლოს, ერთის სიტყვით, ვერას გაიგებ. ჩვენ თუ განუწყვეტლივა ვსვამთ, ეგ მოგვდის ჯერ იმიტომა, რომ წავახალისოთ ჩვენი მშრომელი ხალხი, გავასაღოთ ქართული ნაწარმოები და ამ საქციელით ვარგოთ რამ ვენახების პატრონებს. მეორეც იმიტომ, რომ ქართველები ვართ და ულვინობა ვერ აგვიტანია, ქართველი მუშა-კაცი თუ ჰსვამს ღვინოს, ეგ მარტო ღვინის სიყვარულით მოსდის, და, რადგანაც არა აქვს მოცალება, ჰსვამს, როცა ათავებს მუშაობას. ჩვენ-კი სიყვარულიც გვაწუხებს და გვასმევს ღვინოს, მოცალებაც გვიწყობს ხელსა და ეს მამულის სიყვარული ხომ ჩაქუჩივით თავში გვირაკუნებს და გვაძალებს: „დაალიიეე, დაალიიეე, სულ ძირამდიის ჩალიეეე!“ მოდი და გაუძელ ამ საბუთების სიმრავლესა და ნუ დაჰლევ. მერე ვის ეუბნებიან—თავი შეიმაგრე, გაუძელო?—გულ-ჩვილსა და ბუნებით კეთილს ქართველს! ეს ხომ სწორედ უსამართლობა და უზომო სასტიკობაა.

**

ხელთ-უყპრობასა და უსაქმურობას მისცემია მთელი ჩვენი განათლებული საზოგადოებაო, იძახიან ბოროტი ენები. ჯერ ერთი ესა, თქვე კაი კაცებო, რა დროს მუშაობა და საქმეა, როდესაც წუთი-სოფელს მზა-მზარეულად აუყვავებია და შეუმკია ცხოვრების სუფრა. აქ აბა ვის მოუვა თავში საქმე, თუ ღმერთი გიყვართ! აქ ვაჟკაცურად გადიყარე ყურთმაჯები, გადიგდე ჩოხის კალთები და მოუჯექი ამ სუფრას, თუ შენ კაცური კაცი ხარ. თუ არა, შვილოსა, და თუ სულ ავ-პირი ჩამოგტირის, განზე მაინც თ გაეცალე მოქეიფე ხალხსა, რომ მადა არ წაართვა ტყუილ-უბრალოდ და მხიარული გუნება დაღვრემილებაზე არ შეუცვალო. განა იმ კოხტა სადღეგრძელოების შეთხზვა-შეხანხვლა და იმ „მრავალ-ჟამიერ“-ის სიმღერა და „გაუმარჯვოს ჩვენსა სამშობლოს“-აო—განა ეს კი პატარა საქმეა, განა ეს-კი ცოტა რამეს აუშლის ნასვამს გულსა, შეზარხოშებულსა და ადუღებულს ტვინსა. და თუ მაინცა-და-მაინც აღარ დაგიშლიათ და საქმეს, ხელ-გამამავალ საქმესა სთხოვთ ჩვენს საზოგადოებას, მაგაში-კი განა მართლა მაგრე ბევრი რამ აქვს იმას დასაძრახისი? სულაც არა. აბა რომელი საქმე გინდათ, რომ ჩვენი საზოგადოება გულ-გრილად უყურებდეს. სკოლის საქმეს აიღებთ-და, აქ ხომ სულ ტყავი გასძვრა ჩვენს „დაწინაურებულს“ საზოგადოებას—განათლებულ ქართველებში მგონი ათი კაციც ვერ დაასახელოთ, რომ ერთი ან ორი აბაზი მაგ საქმეში არ ჩაეყაროს, და ახლა ვისაც მანათობით გაუწევიათ დახმარება, იმათი რიცხვი ხომ ათობითა და თითქმის ასობით უნდა დასთვალოთ. აიღებთ თეატრსა და მანდაც საზოგადოების ღვაწლს სამზღვარი არც კი მოეძებნება, იმიტომ-კი არა, ვითომც

რით სიმართლე, რომ აქ არც წესდება, არც ჯადო და არც მაჯლაჯუნა არაფერს შუაშია. პირ-და-პირი დამნაშავენი აქ, მართალია, ის კაცები არიან, რომელთაც ენდობიან ხოლმე ბანკის წევრთა კრებულნი, მაგრამ უფრო დიდი დანაშაული უნდა მიეწყოს თვითონ ამხანაგობის წევრთა დაუდევრობასა და გულ-გრილობას. ქართველი კაცი ხომ იგეთია, რომ მზად არის თავიდამ აიცდინოს პირ-და-პირი მოვალეობა: „აჰა, ეს ფული ხომ გამოვიღეთ, კაცები ხომ ამოგირჩიეთ, ეხლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ. მეტი რაღა გინდათ ჩემგანაო!“ არა, საქმეც იმაშია, რომ მარტო ეს არა კმარა, მარტო ამით საქმე რიგიანად ვერ წავა. ერთი და ორი მაგალითი არ შეგვხვედრია, საცა ამორჩეულს კაცებს უდიერად უმტყუნებიათ ჩვენთვის კერძოდ და მთელის საზოგადოებისათვის. ეს ერთი. თუნდაც არ ემტყუნათ, ყოველს ამისთანა საზოგადო საქმეში, თუ თითონ პატრონმა ზურგი შეაქცია და თვალი მოარიდა, პატიოსანი ამორჩეულიც ბევრს ვერას გააწყობს: ამორჩეული კაცი საქმეს მაშინ ახალისებს, აძლიერებს და აღონიერებს, როცა პატრონი თვით იხედება საქმეში და ამ გზით იმასაც ახედებს. გულ-გრილობა პატრონისა გულსა სწყვეტს ამორჩეულს კაცს და უნელებს მხნეობასა.

აქ ტირილითა და ვიში-ვუშით საქმის გამობრუნება მოუხერხებელია. აქ საჭიროა თავ-გამოდებული და სინიდისიანი გამრჯელობა, დაუძინებელი თვალ-ყურის ჭერა ყველასი. ჩვენის აზრით, სასოფლო ბანკი მარტო მაშინ გაიდგამს ღონიერს ძირკვებს, როდესაც თითონ სოფლის საზოგადოება შეგნებს, რომ ყველა საამხანაგო საქმეში თვითოეული წევრი უნდა ზრუნავდეს მთელ საზოგადოებისათვის და აგრეთვე მთელი საზოგადოება თვითვეულისათვის. ამორჩეულ კაცებს, გამგებლებს მინდობილი აქვთ იმის აღსრულება, რასაც წესდება ავალებს და რასაც თვითონ ამხანაგობა თავის გადაწყვეტილებით მიანდობს. უამისოდ საქმემ ამორჩეულთა ნებაზე უნდა იაროს და ხშირად ეს ნება ამხანაგობის ნება არ არის. ამიტომაც ეს დაწესებულება ბევრად ვერას ჰრგებს ამხანაგობასა. ესეც იმის მიზეზია, რომ გლეხ-კაცობა გაუდგა განზე საზოგადოებასა.

ჩვენის ფიქრით, ამ საქმის გამოკეთება მარტო მაშინ შეიძლება, თუ თაოსნობა ამ საქმისა ამხანაგთა კრებულმა ჩაიგდო ხელში, ზედ-მიწევნილის განკითხვით საქმეს თვალი ადევნა და თავის სამართლიან სურვილისამებრ მიჰმართა. ამ სახით, რაკი კრებული სულს ჩაუდგამს ბანკსა, თვისდა სახეიროდ გამოაცოცხლებს და თითონვე დაეპატრონება თავის საქმეს, დღე-მუდამ თავის ზედამხედველობის ქვეშ ეყოლება, მაშინ არამც თუ უცოდველი შეცდომა ადვილად გასწორდება, თვით ბოროტ-მოქმედებაცკი შეკრული და შებოჭვილი იქნება. ამით ბანკის მიმართ ნდობა გაძლიერდება, იმიტომ რომ აქ ნდობა თავის თავის ნდობაა, და კრედიტის საქმეში ხომ ყველაფერი ნდობაზეა აშენებული.

ჭ—შვილი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვყავს ცნობანი წესდებულებიდამ იმაზე, თუ როგორ უნ-ჩამოერთვას მამულები ან სხვა ქონება პატრონებს იმ შემთხვევაში, როცა ეს მამულები დასჭირდება მთავრობას თუ საზოგადოებასა.

მუხ. 578. სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებისათვის ჩამორთმეულს ქონებაში პატრონებს უნდა გაუსწორდნენ ან ფულით, ან კიდევ ჩააბარონ შემოსავლისა და ღირებულობის მიხედვით თანაბარი ქონება.

მუხ. 579. უკეთუ ქონების ჩამორთმევა მოხდა ერთმანერთში მორიგებით, უნდა შესდგეს სიგელი კანონისამებრ.

მუხ. 580. უკეთუ პატრონი გადაჭარბებულ ფასს მოინდომებს, მაშინ ქონება უნდა აიწეროს და მოხდეს მისი დაფასება.

მუხ. 581. აღწერა უნდა მოახდინოს, სამოქალაქო კანონ-დებულებათა წესისამებრ, ადგილობრივ პოლიციის მოხელემ ორის ან სამის მოწმის დასწრებით. მოწმებად უნდა მოიწვიონ პატრონის მეზობლები.

მუხ. 582. დაფასებით ქონება უნდა დააფასოს კომისიამ, რომელიც შესდგება მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, მომრიგებელ-მოსამართლისა და მომრიგებელ-შუამავლისაგან.

მუხ. 584. დაფასება უნდა მოხდეს ამ წესით:

1) უნდა წინადვე შეატყობინონ პატრონებს და მსყიდველებს ის დღე, თუ როდის მოახდენს კომისია დაფასებასა.

2) ორთავე მხარეს შეუძლიანთ შეიტყონ კომისიაში თავიანთი პირობანი სიტყვიერად ანუ ქაღალდით, თავად ანუ ვექილების ხელით.

3) ეს მხარენი გინდაც რომ არ გამოცხადდნენ დაფასების დღეს, კომისია მაინც თავის საქმეს არ გადასდებს.

5) ქონება უნდა დაფასდეს ან შემოსავლისა-და გვარად, ან ადგილობრივის ფასების მიხედვით, ანუ იმ პირობათა დაგვარად, რა პირობაშია იმყოფება ჩამოსართმევი ქონება.

8) უკეთუ ჩამოსართმევია მთელი ქონება-კი არა, მხოლოდ რომელიმე ნაწილი მისი, მაშინ პატრონს მარტო იმ ნაწილის ფასი-კი არ უნდა მიეცეს, არამედ უნდა მიეცეს მთლად ის ღირებულება, რომელიც ეკარგება მას ამ ნაწილის ჩამორთმევითა.

9) დაფასების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ მოსაზრებას, რომ პატრონის დანარჩენს ქონებას ფასი მოემატება იმ საქმის წყალობით, რომლისათვისაც ერთმევათ ხსენებული ქონება

10) პატრონს ნება აქვს მოითხოვოს, რომ შესყიდულ იქმნას მთელი მისი ქონება, უკეთუ ჩამოსართმევ ნაწილის დაკარგვით მისი ქონება ჰკარგავს სრულებით თვისს ფასსა.

14) კომისიის გარდაწყვეტილება უნდა გამოუცხადონ ორთავე მხარეთ, უკეთუ იგინი იმყოფებიან იქვე. ვინც ვერ დაესწრება დაფასებას, უნდა მათ გაეგზავნოთ გარდაწყვეტილების პირი (კოპიო), ანუ უწყება. გარდაწყვეტილების პირი შეუძლიანთ მიიღონ დამსწრეთაც, უკეთუ იგინი მოიწადინებენ.

მუხ. 585. დამფასებელთა გარდაწყვეტილებაზე ორსავე მხარეთ შეუძლიანთ წარადგინონ თავიანთი უკმაყოფილება და შენიშვნანი ორის კვირის განმავალობაში გარდაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ.

მუხ. 589. როცა სულ ერთიან გადასწყდება მამულის ჩამორთმევის საქმე, პატრონს მაშინვე უნდა ჩაჰბარდეს არა მარტო დანიშნული ფასი ქონებისა, არამედ ამ ფულის სარგებელიც—წელიწადში მანეთზე ექვსი კაპეიკი—იმ დღიდამ, რა დღიდამაც ქონება თუ მამული სხვის ხელში გადავიდა დამტკიცებაზე ადრე.

*** ბ-ნ მთავარ-მართებლის მიერ საყოველთაოდ ნაბრძანებია, რომ მეტრიკის მოწმობებზე, მათს პირზე და მისაცემ თხოვნებზე ამ მეტრიკების გამოსატანად არ უნდა ახდევინონ გერბის გადასახადი იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მოწმობა, ანუ მისი პირი და თხოვნა მათ მისაღებად დასჭირდებათ სამხედრო ბეგრის საქმეებში. ამასთანავე მეტრიკაზე თუ მის პირზე უნდა წააწერონ ხოლმე, რომ ეს მოწმობა ეძლევა ამა-და-ამ დაწესებულებაში წარსადგენად სამხედრო ბეგრის გადახდის გამოჳ.

*** სენაკის მაზრიდამ გვწერენ, რომ იქაურ აზნაურთ ნაჭყებიებთ და კეშილავებთ ეს ორი წელიწადია დავა აქვთ სამეგრელოს თავადის ვექილებთან მთების თაობაზედ. რაც-კი რამა ჰბადებიათ ამ აზნაურებს, რაც-კი რამ ძველი და ახალი ჰქონიათ, სულ ამ გაჭიანურებულს დავაზე გადაუგიათ და თითქმის სულ გატყავებულან. თანაც შემოსავალი ამ მთებისა უწინ თურმე ხუთასექვსას თუმნამდისაც-კი ავიდოდა, მაგრამ ეხლა ათსა და თხუთმეტ თუმანზე ზევით ველარც-კი წავაო.

*** ამავე აზნაურთ უთანხმოება მოსვლიათ თავიანთ გლეხებთან, რადგან უკანასკნელთ უარი განუცხადებიათ ბაჟის გადახდაზე პირველთა სასარგებლოდ. საქმე იქამდის მისულა, რომ გლეხებს არზა შეუტანიათ ნაოდალევის მომრიგებელ-მსაჯულთან და სჩივიან, რომ უკანონოდ გვთხოვენ ეს აზნაურნი გადასახადებსაო. სამს იენისს იყო დანიშნული საქმე. მომჩივართა რიცხვი ორმოც კაცამდე იყო. მომჩივართ დანიშნულს დღეს, როგორცა გვწერენ, მოიყარეს თავი და დასხდნენ თურმე საბჭოდ ერთის ვერსტის მოშორებით სამსაჯულოზე. გლეხებს ცხარე ბაასი ჩამოუვარდათ. ზოგი ამტკიცებდა, რომ მათს მფლობელობაშია ის მიწები, რომლებზედაც აზნაურები ბაჟსა თხოულობენ, და ზოგი ამბობდა, რომ მარტო მფლობელობაში-კი არა, ეს მიწები პირ-და-პირ ჩვენს უკვდავს საკუთრებას შეადგენსო. ამ დროს გლეხებთან მოსალაპარაკებლად იმყოფებოდა აზნაურთა ვექილიც. ვიდრე ისინი საქმეს გამოიძიებდნენ და ერთმანერთში მორიგდებოდნენ, საღამო ხანმაც მოაწია, თურმე მომრიგებელმა-მოსამართლემ გაათავა თავისი საქმეები და გამოიკეტა სასამართლოს კარები. ამ სახით, გლეხებს ვერ ეღირსათ საჩივრის განსამართლება. საღამოზედ დაბრუნდნენ უკან, მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბში ორი გლეხი სასტიკად გაილახა, ასე რომ სიარულიც აღარ შეეძლოთ ნაცემებს და დარჩნენ გზაში ღამის სათევლად. ერთი მათგანი ისეა გალახული, რომ ეხლა საზარლად დასივებული აქვს თურმე ტანი და თავ-პირი.

*** ახალქალაქის მაზრიდამ გვწერენ: აქედ ძალიან ავდრიანობაა; ჭირნახული ძალიან გვიან შემოდის, მაგრამ კაი პირი კი უჩანს ახალ ნათესს ყანებსა.

*** როგორცა გვწერენ, კუმისის და კოდის ბოლოების მინდვრებში კალია გაჩენილა. ეს ოთხი დღეა, მაზრის უფროსის განკარგულებით, დღეში სამასი მუშა გასულა და ჰხოცავს ისეთის გამარჯვებით, რომ თითქმის ბევრი აღარა დარჩა-რა. კალია ბორჩალოს მაზრი-

ღვაწლი სრულებით არ იყოს და უარაობით არც სამზღვარი ჰქონდეს, არა, იმიტომ რომ ძრიელ დიდია ეს ღვაწლი. კაცო, წელიწადში ერთი სამჯერ და ოთხჯერ მაინც შეხვალ თეატრში. თუ შაურობაზე რომ ვიანგარიშოთ ბილეთი, ეგ შენი მანათ-ნახევარი წელიწადში, და მანათობაზე ხომ სამ მანათამდინ ადის „ჩოტკი“. რისთვის ეცარცვება ეს ხალხი, თუ არ სამშობლო თეატრის გაძლიერებისათვის. აბა, რა უნდა ქართველს კაცს თეატრში, როდესაც მთელი მისი სიცოცხლე გაუწყვეტელი „თრეათრია“. იმ სამის მანათით ერთხელ მეტად იქეიფებდა ნალოცვილ „ვაზაში“. მაგრამ რა ქნას, განათლება მიუღია და, როგორც აქეთ-იქიდამ ეუბნებიან, განათლებულის კაცისათვის თეატრში სიარული წყურვილიაო. რის წყურვილი, რის ფლავი და ან რის ბოზბაში. თუ განათლებას მაგეთი თავ-აღებული წყურვილი მოსდევდეს, მაშ რატომ თითონ ქართველი განათლებული კაცი არა ჰგრძნობს ამ წყურვილს და მისით არ დაიარება იქა. წყურვილი-კი არა, ეშმაკები. თეატრში სიარული ქართველ საზოგადოებისათვის რაღაც მოგონილი და სახადივით მძიმე სახდელია. ისიც იხდის, რომ არავინ არ გაბედოს და არ აჰყაროს განათლებულის პატივი. კიდევ იმიტომა ხდილობს, რომ გულკეთილისა და მოწყალე ადამიანის სახელი გაიკეთოს ნაცნობსა და უცნობებში.

ერთის სიტყვით, როგორც უნდა იყოს, თეატრშიაც არ არის გამორჩეული, იქაც დაიარება ხანდისხან, თუმცა შეეძლო, სულაც არ ეარნა. სხვა რაღა გინდათ ჩვენის საზოგადოებისაგან, არ მესმის, ღმერთმანი!

**

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ბაიყუშს კაცს, რომელიც ხან აქედამ გამოტყვრება და ხან იქიდამ, ხან ამ საბაბს მოგიდებს და ხან იმას, —ამ ბაიყუშს კბილი მოსჭრათ და ასეთ დაურღვეველ და მეტყველ საბუთებით ჩააჩუმოთ. აი, იმ დღესაც ერთმა ამისთანა ახირებულმა ადამიანმა გამიმწარა სიცოცხლე. „კამპანიაში“ მივეჩქარებოდი, მიწვეული გახლდით. თანაც წინა დღეს ერთს ნასწავლს და პატიოსანს ქართველთან მამლის ყაილამდინა ვქეიფობდით, ვმღეროდით, ვთამაშობდით, ერთის სიტყვით, დროებას ვატარებდით რაღა, და, ხომ მოგეხსენებათ, კარგა მოწყვეტილი ვიყავი მეორე დღესა. მაგრამ, ხომ ისიც მოგეხსენებათ, რომ ქართველს ქეიფი არ მოსწყინდება. თუ დაღალული ხარ, წადი, დროება გაატარე და ისე გაჰმხიარულდები ნუნუაზე, თითქო რწყილიც არ აგფრენიაო. მეტადრე თუ სატრფოც იმ წვეულებაში გეგულება, მაშინ ხომ სულ ახალად დაიბადები. რა დაგიმალოთ და, ჩემი სატრფოც იმ „კამპანიაში“ იყო. აბა, თქმა არ უნდა, ფრთებ-შესხმულივით მივხტოდი წვეულობაზე. აკი გამიწყრა ღმერთი და სწორედ გზაზე წინ შემომეყარა ერთი ჩემი დიდის ხნის ნაცნობი და ამხანაგი. ვერ ავიცილე თავიდამ, პირ-და-პირ დამისისწვრივდა, ჩამავლო ხელი და ისეთს უადგილო ლაპარაკს მომიყვა, რომ სულ თავი და ბედი მაწყევლინა. აი მოგახსენოთ და თქვენ თვითონა ჰნახავთ:

„კაცო, არ გებრალები, რა დღეში ვარ—ადამიანს ვერ იპოვნი ამოდენა ხალხში, რომ ხმა გასცე, ამოიღო გულიდამ ეს დარდი და ბოღმა. ათასი მწვავე ჭირი გიდგა თვალ-წინ, რასაცკი მიაწვდენ თვალსა, ჰხედავ, რომ ისიც გვაკლია ჰგრძნობ, რომ თუ საქმიანობას ხელი არ ჩაავლე და არ დანერგე ჩვენს ცხოვრებაში, ვერ წავა წარმატებაში ჩვენი სიცოცხლე ათასი ამისთანა მწარე ფიქრები გიკლავენ გულსა,—და სწორედ ამ დროს ჩვენი „დაწინაურებული“ საზოგადოება მისცემია ფუფუნებასა, უზრუველობას და ხელთ-უპყრობას. ასე გასინჯე, წიგნებსაც-კი არა კითხულობს კაცო წიგნებს! და გაზეთს ხომ ერთი-კი დაჰხედავს, თუ დრომ მოიტანა, და მაშინვე გვერდზე გადასდებს, თითქო ის ვარამი და მწუხარება, რომელსაც ჩაჰკეირვებიან წიგნები თუ გაზეთი, არ შეადგენდეს ჩვენს საშინელს უბადრუკობას და თითქო ჩვენი მოვალეობა არ იყოს, ვიხმაროთ ყოველი ღონის-ძიება, რომ ვიცხოვროთ კეთილის ცხოვრებით.“

კიდევ ბევრი ამისთანა უმარილო რამ ილაპარაკა იმ ბაიყუშმა და ისე გამიუგემურა გუნება, რომ „კამპანიას“ თავი დავანებე, სატრფომაც-კი ველარ წამიტყუილა, ჩავღუნე თავი, წაველ ზლაზვნით შინისკენ, მიველ თავი მუთაქაზე და, ღვინის მადლით კიდევ კარგი, რომ მაშინვე მიმძინებოდა თურმე.

**

აუტეხნიათ, ამ თეატრისა არ იყოს, გაზეთიც უნდა წყურვილს შეადგენდეს განათლებულის კაცისათვისაო. ახლა კარგი, უნდა შეადგენდეს, მაგრამ განათლებულ ქართველ საზოგადოებას თუ არა სწყურიან, ახლა არ ჩამოეხსნებით! რა გინდათ იმისაგან — ვირი ხომ არ მიგიბარებიათ, რომ ნალებს ედავებით. არის თავისთვის ქართველი კაცი, არას გიშავებთ, შარს არ გიდებთ და არაფერს. რატომ თქვენთვის არა ხართ. გინდათ ბრაზებზე მოიყვანოთ! ეხლა მსხვერპლს მაინცა სწირავს სამშობლო მწერლობას, ხან ორ-შაურიანსა და აბაზიან წიგნსა ყიდულობს და ზოგი ქართველი განათლებული კაცი გაზეთსაც იკვეთავს. ამას ფული არ უნდა? თქვენ ეგეც არ გიკმარიათ, გინდათ, რომ ნაყიდი წიგნი და დაკვეთილი გაზეთი კიდეც წაიკითხოსო. ღმერთო ჩემო, სულთა-მხუთავები ხომ არა ხართ. უნდა—წაიკითხავს, არა და, ძალად ხომ ვერ აკითხებთ. მართლა, პატა ენა მოიკვნიტეთ, თორემ ქართველი განათლებული ვაჟბატონი არამც თუ კითხვას თითონ არ მიჰყვება, სხვებისთვისაც-კი აღარ იყიდის წიგნსა და აღარ დაიკვეთავს გაზეთს. მერე ენახოთ, ვინ იზარალებს. იძახით, ჩვენთვის დიდი ნუგეშია, წარმატების იმედი ცხოველდება, რაკი გაზეთი გვაქვს ქართველობას და ხანდისხან წიგნაკებიც გვებეჭდებაო. თუ მართლა ამითი თავი მოგწონთ, ნულარა სჩხვლეტთ

დამ უნდა იყოს გადმოსული თურმე. ამ მინდვრებში წინად არსადა სჩანდა კალია. როგორც ამბობენ, ეს მწერია ჯერ-ჯერობით წელს სრულებით არაფერს ზარალს არ აძლევს მინდვრის მოსავალს, მხოლოდ საშიშია, რომ სამერმისოდ არ გამრავლდეს და არ აოხროს კაცის ნაამაგევი მინდვრებიო.

*** 19 ივნისს, 1 პოლიციის განყოფილებაში, სტატსკი სოვეტნიკ ვესელოვზოროვის სადგომიდამ ვიღაცას მოუპარავს ორ თუმნიანი ხალიჩა. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე დღეს ტიტულიარნი სოვეტნიკის ქვრივს ელისაბედ ისაევისას გამოუცხადებია მე-2 განყოფილების პოლიციაში, რომ 17 ივნისის ღამეს ჩემის სადგომიდამ, რომელიც წმ. დავითის გალავანშია, დაუკეტავ განჯინიდამ ვიღაცამ მომპარა თერთმეტი თუმანი ფული და ორი თამასუქი: ერთი თერთმეტის თუმნისა იყო, მეორე ხუთის თუმნისა და ეკუთვნოდა მონაზონს ბარბარე შალიბერიძისასაო. ამ საქმის გამოც გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბარალეთი (ახალ-ქალაქის მაზრა), 6 ივნისს. წარსულს მაისის 31-ს სოფელ ბარალეთის სასოფლო სამართველოს მეიდანზედ, დილა ადრიან, შეგროვილიყო კომლზედ კაცი ამავე ბარალეთის საზოგადოებისა. ამ ხალხის ყრილობის მიზეზი ჯერ ვერ შევიტყე და ბოლოს-კი აღმოჩნდა, რომ ბ-ნ მაზრის უფროსის ბრძანებით ამ ხალხს ახალი მამასახლისი, ნაცვლები და სოფლის მსაჯულები უნდა ამოერჩიათ. როდესაც შეგროვდა ხალხი, მაზრის უფროსიც მობრძანდა ახალ-ქალაქიდამ. მაზრის უფროსის ბრძანებით, ხალხმა ფიცი მიიღო ახალის მოხელეების აღმოსარჩევად. ფიცის შემდეგ ხალხი ისევ იმავე სამმართველოს მოედანზედ შეგროვდა. მაზრის უფროსმა აუხსნა ხალხს ფიცის მიღების მნიშვნელობა და უბრძანა, რომ ამოერჩიათ ერთი კეთილ-საიმედო კაცი მამასახლისად, ერთი მისი კანდიდატი, სამი სოფლის მსაჯული და ამდენივე კანდიდატები და სოფლის ნაცვლები თავიანთის კანდიდატებით.

ამ დროს ხალხში შეიქმნა ყვირილი მამასახლისის ამორჩევის თაობაზედ. ბოლოს გამოიყვანეს ორი სამამასახლისოდ ამოსარჩევი კაცი. ეს ორივე ტომით სომხები იყვნენ. ნახევარზედ მეტს საზოგადოებას ერთი მათგანი უნდოდა ამოერჩია. ქართველობა წინააღმდეგი იყო ამ გვარის არჩევანისა: სომხი ისე ყურს რას უდგებს ქართველების საქმეს, როგორც ქართველიო, ამბობდნენ აქაური ქართველები. ამ არჩევანების დროს ხალხი ისეთს აყალ-მაყალში იყო, რომ კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა. ზოგი ჰყვიროდა: „არა, ეს გვინდა“, ზოგი ჰყვიროდა: „ეგ არ გვინდა, ქართველი გვინდა“-ო. ამ ყვირილსა და ყლაპვი-ყლაპში ისე აირივ-დაირივნენ და იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩაფრები იძულებულნი იყვნენ მათრახი ეხმარნათ. ამ საშუალებამაც ვერაფერი ვერ უშველა ხალხის ყრიამულს და ყვირილს. ბოლოს გადმოხედა ღმერთმა და ამ არჩევანების დროს ერთი ასეთი შხაპუნა მშვენიერი წვიმა წამოვიდა, რომ იქ მყოფი ხალხი აქეთ-იქით სახლებში მოჰფანტა. ის იყო წვიმაც მოვიდა და მამასახლისისა და მსაჯულების აღმორჩევაც გათავდა. ბოლოს აღმოარჩიეს ნაცვლებიც. ეს ნაცვლები კეთილ-საიმედონი არიან. კაი ნაცვალი ელირსათ აგრეთვე კოთელიელებს. მამასახლისად უმეტესმა ნაწილმა სომხი აირჩია. ამ ამორჩევაში კაცს კაი ყურება უნდა ჰქონოდა რომ გაეგონა რამე, ისეთი ყვირილი და ყაყანი იყო. ყურადღება მიიზიდა მეტადრე სომხების ყვირილმა: „ჩიმ უზე“, ე. ი. არა გვსურსო. ყველა ამბობს, რომ კაი სოფლის მოხელეები ამოვირჩიეთო და ვნახოთ, როგორ სინიდისიანად აღასრულებენ თავიანთს მოვალეობას.

გ. კოპტონაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღევანდელს გაზეთში მშვიდობიანი ლაპარაკია პოლიტიკაზე. არსაიდამ თოფის წამლის სუნი არ მოდისო, ასეთი სიჩუმე კარგა ხანია არ ჩამოვარდნილა პოლიტიკაშიო, ამბობენ გაზეთები. ეგვიპტის გამო კონვენცია, რისტიჩის ახალი სამინისტრო სერბიაში, პაპისა და იტალიის მეფის ჰუმბერტოს შერიგება და იმპერატორის ვილჰელმის ავად-მყოფობა ისეთი საქმეები არ არის, რომ ამ საქმეების გამო უცბად გამწვავდეს ევროპის ყოფა და მშვიდობიანობა დაირღვესო.

ახალის კანონის ძალითაო, ამბობს გაზეთი „Neue Freie Presse“ საფრანგეთის ჯარი მოეწყობა სრულიად მხოლოდ 1890 წლისათვის. მანამდე არც ერთს კეთილ-გონიერს ფრანგს ფიქრადაც არ მოუვა ომი აუტეხოს ისეთს ძლიერს და დიდს სახელმწიფოს, როგორიც არის გერმანიაო.

აი ასე მოწმენდილია და მოკამკამებული ცა პოლიტიკისა და ზედ მცირეოდენი ტრედის ფერი დრუბლები თუ მოიპოვება.

გაზეთი „Новости“ ძალიან შეუფიქრიანებია იმ ამბავს,

რომ გერმანიის მთავრობა აღარ აყოვნებს დიდს ხანს და ეხლავე შესდგომია შეთოფ-იარაღებას. გუშინ ამ მთავრობამაო, განაგრძობს გაზეთი,—გამოსცა ბრძანება, რომ მთავრობა სესხულობს 240 მილიონს მარკას. ეს ფული შეთოფ-იარაღებისათვის უნდა. გერმანიის სამხედრო ადმინისტრაცია ისეთი ჩქარია და ბეჯითი, რომ ამ შეთოფ-იარაღების საქმეს მალე შეასრულებს. გერმანიის მეზობლებს მაშინ კვლავ აიტანს შიში და დაიწყობენ კითხვას: ვისთვის და, სახელდობრ, ვის საწინააღმდეგოდ ემზადება გერმანია და მისი მოკავშირენიო?

გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ის არა სჯერა, რომ ომი აიცდინოს ევროპამ და ასეთს სურათს გვიხატავს ევროპის მდგომარეობისას:

ევროპამ მოისვენა ქარტეხილისაგან; ჩამოვარდა სიჩუმე, ჰაერი აღარ იძრევა, მაგრამ ეს სიჩუმე, ეს უძრავი ჰაერი მშვიდობიანობას არა ნიშნავს: რაც გადასაწყვეტი იყო, ისევ გადასაწყვეტი დარჩა, რაც სადავიდარაბო ჰქონდათ სახელმწიფოებს, ისევ სადავიდარაბოდ დარჩა.

**

ერთს საფრანგეთის კრიტიკოსს, შარლ ბოდლერს, რომელიც 1850 წელთ შორის სცხოვრობდა, მოცლის დროს მცირე შენიშვნები უწერია. ეს შენიშვნები დასაბეჭდად არა სდომებია და ამიტომ ყველაფერი, რაც-კი ფიქრად მოსვლია, გულ-წრფელად მიუნდვია ქაღალდისათვის. აი ზოგიერთი ამ შენიშვნათაგანი, რომელნიც „დამაკვირდისა“ ჰგვანან:

რაც უფრო ბევრსა მუშაობ, მით უფრო უკეთა მუშაობ, მით უფრო ბევრი გინდა იმუშაოვო. რაც უფრო მეტს აკეთებ, მით უფრო მეტის გაკეთების ღონე გეძლევა. ქეიფის და დროს გატარების შემდეგ, უფრო ძლიერ ვგრძნობთ მარტოობას. მუდამ ტვირთივითა ვგრძნობთ ჟამთა მეფობას. თუ გინდათ მოიშოროთ ეს მაჯლაჯუნა, შრომობდეთ და სტკბებოდეთ. თუ ვსტკბებით, ღონესა ვკარგავთ, თუ ვშრომობთ ძალა გვემატება. რაც უფრო მეტსა ვსტკბებით, მით უფრო მეტად გვეზიზღება შრომა და ჯაფა. აირჩიეთ, რომელიც გსურთ. ვისაც უნდა შიში არაფრისა ჰქონდეს, შეასრულოს თავისი მოვალეობა. შრომა, თუნდ ტყუილი შრომაც იყოს, ბევრად სჯობია ოცნებობას. უნდა იმუშავოთ დილის 6 საათიდამ შუადღემდე. ცოტ-ცოტაობით დიდი რამ გაკეთდება. თუ გადასდებ სამუშაოს, შეიძლება თავის დღეში ველარ გაათავო. დიდი საქმე წვრილ-წვრილად კეთდება. დიდი და ძნელი საქმე მხოლოდ ის არის, რისთვისაც ხელი ვერ მოუკიდნიათ. ერთად-ერთი ღონე და წამალი ყველაფრისა, სიღარიბისაც, ავადმყოფობისაც და მოწყენილობისაც, შრომის მოყვარეობაა.

კარგი კრიტიკოსი კარგი მცოდნეა მუდამ ცხოვრებისა და ბოდლერი ამასთანავე ფილოსოფოსიც ყოფილა.

## უცხოეთი

გერმანია. გერმანიის იმპერატორის, ტახტის მემკვიდრის და ბისმარკის ავადმყოფობა. გერმანიის იმპერატორს, ტახტის მემკვიდრეს და ბისმარკს თითქოს პირობა შეუკრავთ,— ყველანი ერთად გახდნენ ავად. გერმანიელებისათვის, რასაკვირველია, ეს არაფერი სასიამოვნო ამბავია. გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ს ბერლინელი კორრესპონდენტი აი რას იწერება ამ სამ ავადმყოფზე:

„გერმანიის იმპერატორი წამ-და-უწუმ ღრმა ძილში ჩავარდება ხოლმე და თუ ექიმებმა ძალით არ გააღვიძეს, თითონ ვეღარ იღვიძებსო, მეტადრე დილით გონს ძლივს მოჰყავთო.

„ეს გარემოება ძრიელ აფიქრებს მოხუც იმპერატორის ერთგულ ქვეშევრდომთა და უფრო მეტას ყურადღებით ადევნებენ თვალს ტახტის მემკვიდრეს, რომლის ავადმყოფობა უფრო საშიშარია. პრინც ვილჰელმს, როგორც მოგეხსენებათ, ყელში რაღაც იარა გაუჩნდა. გერმანიის ექიმებმა ვერა გაიწყეს-რა, ისიც-კი ვერ გაიგეს სწორედ, რა სნეულობაა. ავადმყოფს ინგლისის ექიმი, გამოჩენილი მაკენზი ჯერ თითონ გერმანიაში მოჰგვარეს და ეხლა თვით პრინცი წავიდა ინგლისში თავის მოსარჩენად. მაკენზი წინად დიდს იმედებს იძლეოდა, საშიშარი არაფერი აქვს ავადმყოფსაო და იარა კიდეც ამოსჭრა. ამის შემდეგაც ყელში სიმსივნე მაინც არ დაუცხრა პრინცს და ამოჭრილმა იარამ ისევ იბარტყა. მაკენზიც დაფიქრდა თურმე ეხლა და ამბობს, რომ იქნება ეს იარა კუ გამოდგესო.

„ვერც თავადი ბისმარკი დაიკვეხებს ჯანის სიმრთელეს. ბისმარკი ფრიდრიხსრუჰეში წასულა. ბისმარკს ძრიელ არ უნდოდა თურმე ბერლინისათვის თავი დაენებებინა, რადგან ერთი ორიოდე საპოლიტიკო საქმე ჰქონდა დაწყებული და ძალიან მარჯვედაც მოსდიოდა დუ-შაში, მაგრამ ექიმებმა თითქმის ძალით გაგზავნეს ბერლინიდამაო. ბისმარკს ქარები აქვს თურმე და საშინელი ძარღვების სისუსტე.

საფრანგეთი*). შეთქმულობა პრეზიდენტ გრევის წინააღმდეგ. გაზ. „Intransigeant“-ის რედაქტორს, მოუსვენარს როშფორს, საიდგანღაც გამოუჩხრეკია ერთი ამბავი, რომელზედაც ჯერ აქამდისინ არსად სიტყვა არა ყოფილა თქმული. საფრანგეთში ვითომ შეთქმულობა ყოფილა, რესპუბლიკის პრეზიდენტის გრევის წინააღმდეგ. ეს ამბავი ვითომ პირველად ბერლინში შეუტყვიათ და აქედამ გაუფრთხილებიათ კიდეც გრევი. აი საქმე როგორ ყოფილა: ერთს დღეს ბისმარკს მოუწოდებია თავისთან საფრანგეთის ელჩი და დიდის საიდუმლოთი რაღაცა ქაღალდები უჩვე-

*) გუშინდელი უცხოეთი: „საფრანგეთი და პაპი ლეონ XIII-ე“ აღებულია გაზ. „Нов. Вр.-დამ.

---

ამ ვაჟბატონს, თორემ მაშინ მაგრე ადვილად ველარ მოახერხებთ თავის მოწონებას და ნულარცარავის დაემდურებით.

წიგნი იქნება თუ გაზეთი, იმან უნდა წაიკითხოს, ვისაც არა გაეგება რა ქვეყნიერობისა, ვინც არა იცის-რა. ვისაც ათი და თხუთმეტი წელიწადი სასწავლებელში გაუტარებია, იმას რაღა კითხვა უნდა. სხვა არა იყოს-რა, მოსწყინდა, ხალხნო, წიგნის კითხვა. აბა ახლა სხვებმა იკითხონ, თუ კარგია, რას ჩააცივდით ალია თათარივით. აბა, კაი რამ სასაცილო და გულ-გასაყოლი დასწერეთ, თუ არ წაიკითხოს ჩვენმა განათლებულმა ქართველმა. თუ არა და, თქვე მამაცხონებულებო, მოჰყოლიხართ—ესეც უნდა გავაკეთოთ, ისიცაო, ამასაც მოფიქრება უნდა, იმასაცაო, მოვიყაროთ თავი, ავიღოთ-დავიღოთ, ვიზრუნოთო. კაცო, ეყო განათლებულ ქართველს ე ტიალი და ვერანა ფიქრი, აკმარეთ ამდენი ბარგი. დეე ახლა სხვებმა იხეთქონ თავი. განათლებულმა კაცმა ეხლა უნდა იგემოს ცხოვრების სიტკბოება. თქვენ თქვენთვის, განათლებული ქართველი კიდევ თავისთვის.

**

არა, მართლა-და, ქართული ანდაზა კარგს ამბობს—ქუდი დადეო და სამართალი ქენო. ვერც ისე ხელ-აღებით ვიტყვით, რომ ქართველი განათლებული არაფერს არა კითხულობდეს. დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა და კიდეც დავიფიცო, რომ მგონი ერთიც არ მოიპოვებოდეს წერა-კითხვაში განვითარებული კაცი, რომ არ წაეკითხნოს და თითქმის ზეპირადაც არ დაესწავლოს გლდანელის გამოწვევა და ესებუას პასუხი. თუ დამისახელებთ ერთს ქართველს, რომელსაც გრძნობითა და ალტაცებით არ წაეკითხნა ეს ღირს-შესანიშნავი სიტყვა-პასუხი, მაშინ მე ყელ-ზევით მოსაჭრელი თავი, ყელ-ქვევით მომჭერით.

აბა მართლა ან გამოჩენილმა გლდანელმა და ან არა-ნაკლებ გათქმულმა ესებუამ გამოსცენ ქართულს ენაზე გაზეთი და შიგ მარტო თავიანთი გმირობა, ფალავნური ჰიდაობა აღწერონ დაწვრილებით, თუ მაშინ ან ერთს განათლებულსა თუ გაუნათლებელს ქართველს ხელიდამ გაეშო გაზეთი, გამგელებულსავით არ ეკითხნა ყოველი სტრიქონი, არ ჩაეწყალებინა შიგ თვალები და სულ ზეპირად არ დაესწავლა ყველაფერი, რაც კი იქ ეწერებოდა. აბა მაშინ გენახათ, თუ ნამდვილ საჭიროებად არ გადაიქცეოდა გაზეთი არა მარტო განათლებულ, არამედ გაუნათლებელთათვისაც. თუ არა და, მოჰყოლიან, ეს ამაზე უნდა ვიხეთქოთ თავი, ეს იმაზე უნდა მივაპყაროთ ჩვენი მეცადინეობა, ვინაღვლოთ სწაელა-განათლების გავრცელებაზეო, ამა-და-ამა ადგილას ბანკის საქმე ცუდად წასულაო ამა-და-ამ მიზეზთა გამოეო... აბა რა საკადრისია ასეთი ლაპარაკი პატიოსან საზოგადოებაში, რა თავში იხლის რაღაც ბანკია თუ სკოლა. ღმერთმანი, ფული დაეწვის ბანკში, შვილი აუტირდება თუ! ვინც მოცლილია და ჩხირ-კედელაობა არ ეთაკილება, წავიდეს, ჯანაბამდი გზა ჰქონდეს, ინაღვლოს სკოლისა, ბანკისა, თეატრისა და მწერლობისათვის. ეს რა პატიოსანი კაცის საქმეა. პატიოსანი კაცი პატიოსნურადაც უნდა ატარებდეს დროებას, და პატიოსნური დროების გატარება რომელმა მართლად განათლებულმა ქართველმა არ იცის თითონა, რომ სხვას არ დაეკითხოს.

**

ერთის სიტყვით, ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ქართველი განათლებული კაცი დადგა დონეზე, ღვთის მადლით, და სცხოვრობს ისე, რომ გარედამ მტერს თვალს უყენებს, შიგნიდამ მეგობარსა. ამ საზოგადოებამ გაიგო თავისი დანიშნულება, გაიგო ცხოვრების ამოცანა, გაილო გემო ნამდვილ სიტკბოებით შეზავებულ არსებობისა და ეხლა გზიდამ მის გადარევას და შეცდენას მგონი თვით ეშმაკიც ველარ მოახერხებდეს. ჩვენ ამაზედ ძრიელ დაიმედებულები ვართ და გვრწამს, რომ არც გაგვიმტყუნდება ეგ იმედები. მართალია, ქართველი კაცი ვერ არის თავის სიტყვის გამტანი, რადგან მგრძნობიერის გულით არის შემკული და უყვარს ლობე-ყურის მოდება, მაგრამ მაინც გულადია და მამაცი. ამიტომ, როცა იგი მტერს პირ-და-პირა ჰხედავს, მაშინ უკან არ დაიწევს. და ეხლა რომელი განათლებული ქართველი არ იცნობს მტრად ყველას, ვინც მოსთხოვს ფიქრიანობას, ქვეყნის საჭიროებათა შესწავლას, მზრუნველობასა და საქმიანობას. იმედი მაქვს, რომ არც ერთს არ უმტყუნებს თვალი მტრის გამოსარჩევად. მეტადრე როდესაც ეტყვიან, რომ თავის ტვნა, აზროვნობა, ზრუნვა, საქმიანობა იკისრეო, მერე რის მაგიერ?—ქეიფებისა და დარდიმანდობის მაგიერო, არა, ასეთს ქართველს ვერ შეჰხვდებით.

ამიტომ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ან იმერეთს, ან ქართლ-კახეთში და ან სხვაგან ჩვენს სამშობლოში უმტყუნოს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ სველს ხელადას და აიღოს ხელში საკითხავად წიგნი და მეტადრე გაზეთი.

მე ერთი ამხანაგი მყავანდა. როცა უნივერსიტეტში სწავლა გაათავა, ერთმა ძველმა ნაცნობმა ჰკითხა: „კაცო, ეგ რა დაგმართვია—თავი თითქმის ერთიან მოგტიტვლებიაო“.

— „ეგ ფიქრმა იცის. ამას იქით, რაკი სწავლა გავათავე და ღვთის მადლით საფიქრებელი აღარა მექნება-რა, თმას რაღა ეშმაკი ჩამოიყვანსო“.

შენც, ჩვენო განათლებულო ქართველო, ნულარაფრისა გეშინიან: რაკი სწავლა გაგითავებია, საფიქრებელიც ხომ აღარა დაგრჩენია-რა და შენის თმასაგან თუნდა ბაწარი დაგრიხე.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებია. ამ ქაღალდებში ყოფილა, სხვათა შორის, წერილი ერთის აფიცერისა, რომელსაც ბულანჟეს ამალაში დიდი ადგილი სჭერია. აფიცერი სხვათა შორის სწერდა ერთს თავის თანამოძმეს, რომ ყველაფერი მზად არის და ამ დღეებში გრევის თანამდებობიდამ გადავაყენებთ და სადმე ციხეში წავაბძანებთო. საფრანგეთის ელჩს ეს ამბავი, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ გრევისათვის შეუტყობინებია და წერილიც, როგორც უტყუარი საბუთი ამ ამბის სინამდვილისა, წარუდგენია. საფრანგეთის მინისტრები დაფაცაცებულან, გამოუძიებიათ ეს საქმე და ამ გამოძიების შედეგი ის იყო, რომ გენერალი ბულანჟე მინისტრობიდამ გადმოაბძანესო. ბისმარკს-კი ასეთის ერთგულობისათვის გრევიმ, რასაკვირველია, დიდი მადლობა გადუხადა. ასე ყოფილა ვითომ ეს საქმე, თუმცა გაზეთი ბოლოს თითონვე ამასაც უმატებს, რომ ეს ამბავი ბერლინში იყო შეთხზული და შეთხზული თვით ბისმარკის შთაგონებითაო.

ბოლგარია. ბოლგარიის საქმეების აწეწ-დაწეწა. ამ დღეებში გაზეთები გვაუწყებდნენ, რომ სტამბულოვი და ჟივკოვი ციხეში ჩასხა ამათმავე თანამოხელემ მუტკუროვმაო. დღეს გაზეთები გვარწმუნებენ, რომ თვით მუტკუროვიც სამხედრო მინისტრმა ნიკოლაევმა დაიჭირა და რამდენიმე დღეა დამწყვდეული ჰყავსო. „რომელ ერთს დავუჯეროთ, არ ვიცითო,—ამბობს გაზეთი „Свѣтъ“-ი: და ეს-კი ცხადია, რომ ბოლგარიაში კიდევ რაღაცა არეულობას ამზადებენო. ვისი ხელი მუშაობს აქაო? ეჭვი არ არის, რომ აქ ინგლისი უნდა მოქმედებდესო. სალისბერი ძალიან გამწყრალია, რომ რუსეთი უარზე დადგა და ინგლის-ოსმალეთის ხელთ-შეკრულობა ეგვიპტის შესახებ არ დაამტკიცა. და აი ცდილობს რითიმე გადუხადოს სამაგიეროო. ამიტომ მოუწადინია თურმე ბოლგარიაში ისევ ბატენბერგი დააბრუნოს, რადგან კარგად იცის, რომ რუსეთს ეს არ ეამება და ასტეხს რასმეო. მართლაც და, გაზეთებიდამ შევიტყეთ, რომ ბატენბერგი სტუმრად წასულა თავის გულითად მეგობართან, რუმინიის მეფესთანაო. ასე ამბობენ, თუმცა შეიძლება ბატენბერგი რუმინიაში იმისთვისაც მისულიყოს, რომ ახლო ვიყოვო და შორს გზამ არ დამაყოვნოს, თუ ვინიცობაა ბოლგარიაში შარშანდელივით კიდევ რაიმე თამაშა გამართაო.

ინგლისი. ინგლისის დედოფალი ვიქტორია. ორმოც-და-ათი წელიწადია შესრულდა, რაც დედოფალი ვიქტორია ინგლისის ტახტზე ავიდა. 320 მილიონი ქვეშევრდომი დღესასწაულობს დედოფლის ორმოც-და-ათის წლის მეფობას. დედოფალ ვიქტორიაზე გაზეთი „Новое Время“, სხვათა შორის, აი რას მოგვითხრობს:

„დედოფალი ვიქტორია ერთად-ერთი ქალი იყო ჰერცოგ კენტის, ინგლისის უკანასკნელ მეფის ვილჰელმ მე-IV ძმისა. ვიქტორია სულ 18 წლისა იყო, როდესაც ინგლისის ტახტზე დაჯდა მეფედ. დედოფალმა მალე იგრძნო, რომ კაცი არა მყავს გვერდზე, ძნელია ქვეყნის მართვაო. საქმროები, რასაკვირველია, ბლომად აღმოუჩნდნენ. ვიქტორიას ყოველდღე უთვალავი რიცხვი წერილები მოსდიოდა და ყველანი უმდაბლესად თავიანთ განუსაზღვრელს სიყვარულს უცხადებდნენ „მშვენიერს“, „გულის-მომხიბლავს“ და „წარმტაცებელს“ დედოფალს. დედოფლის ერთი თაყვანის-მცემელი იქამდე მივიდა თურმე, რომ როდესაც დედოფალი ეკკლესიაში იყო ხოლმე, სიყვარულით დატყვევებული მოტრფიალე უთუოდ დედოფლის პირ-და-პირ დაიჭერდა ადგილსა და „სულთქმა-უშით“ აცნობებდა თავის გულის ტანჯვასა. დედოფალმა ბოლოს როგორც იყო ამოირჩია თავისთვის საქმრო. ის კაცი, რომელსაც ბედმა ასეთი ბედნიერება არგუნა წილადა, კობურგის პრინცი ალბერტი იყო, დედოფლის ბიძაშვილი. დედოფალმა თითონ მოიწოდა თურმე ოცის წლის ჭაბუკი ალბერტი და უთხრა, შენ ჩემი ქმარი უნდა იყოვო. 1839 წელს ბედნიერი ჭაბუკი ინგლისის დედოფლის მეუღლე შეიქმნა. გვირგვინოსანთ ცოლ-ქმარს სულით და გულით უყვარდათ ერთმანეთი. ინგლისის მაღალ საზოგადოებას, ზნეობით გახრწნილს, რომელსაც კარგად ახსოვდა წინა მეფეების ცხოვრება, არ მოსწონდა ასე მტკიცედ ზნეობის დაცვა. მაგრამ მდაბიო ხალხზე-კი დიდი და კეთილი გავლენა იქონია ასეთმა სამაგალითო გვირგვინოსანთა ცოლქმრობამ. პრინცი 1861 წელს გარდაიცვალა. ამ უბედურებამ ძრიელ იმოქმედა დედოფალზე. აი ოც-და-ხუთ წელიწადზე მეტი მიდის და დედოფალი დღევანდლამდე შავებიდამ არ ამოსულა, განდეგილად სცხოვრობს და, გარდა სახელმწიფო საქმეებისა, თვალში აღარა მოსდის-რა—დღემდინ ვერ დაუვიწყნია, გულიდამ ვერ ამოუღია თავის საყვარელი ქმარიო.

## გასართობი

დაჩაგრულთა მოსარჩლე გაზეთი. ამ რამდენისამე თვის წინად პარიჟში ახალგაზდა, ლამაზს და ღარიბად ჩაცმულს ქალს დაურაკუნებია გაზეთ „Pall-Mall Gazette“-ის რედაქციის კარები. სატოდავი და უბედური ქალი მისულა რედაქციაში, რომ ეამბნა თავის გრძელი და მწუხარე ამბავი, თუ როგორ მოატყუეს და შემდეგ როგორ დაავდეს ბედისანაბრობაზედ. ამ ქალის მომტყუებელი ყოფილა ახალგაზდა მილიონების პატრონი და ცნობილი მთელს ინგლისში ედუარდ მარტინ ლანგვერძი.

1881 წელს პარიჟში ეს უმაწვილი-კაცი გაცნობებია ახალგაზდა მასწავლებელ-ქალს, სახელად ლონგს, პატიოსანის ყოფა-ქცევისას, მოსწონებია, დაუწყვია უკან დევნა, ვაგინდარას არ დაჭპირებია და მოუნადირებია ამ ქალის გული. ქალ-ვაჟი დანიშნულან და ამ ნიშნობას ქალის ძმაც დასწრებია. ამის შემდეგ სასიძოს თავის დანიშნული ინგლისში წაუყვანია და იქ ისე დაასახლოვებიან ერთმანერთს, როგორც ცოლი და ქმარი. ერთის წლის შემდეგ ქალს დაუწყვია თხოვნა, რომ უეჭველად უნდა შევუღლდეთ კანონიერად, ჯვარი უნდა დავიწეროთ ეკკლესიაშიო და უმაწვილ-კაცს წაუყვანია ქალი და დაუწერიათ ჯვარი კათოლიკეთა წესზედ. თუმცა კანონიერად ჯვარ-დაწერილნი და შეუღლებულნი ყოფილან, მაინც უმაწვილი-კაცი თურმე ყველას უმალავდა, რომ ცოლი მყავს და შეუღლებული ვარო; განსაკუთრებით არ აგებინებდა თურმე ამ ამბავს თავის დედას, ამპარტავანსა და კრიჟანგს დედა-კაცს, რომელიც უეჭველია არ მოუწონებდა თავის შვილს იმისთანა საცოლოს ამორჩევას. ქალიც შეჭპირებია უმაწვილ-კაცს, რომ შენს საიდუმლოს დროებით მეც დავფარავ და ვეცდები, არავის გამოვუმჟღავნო ეს ამბავიო; ხოლო ამასთან ეჭვი შეჭპარვია: კაი თუ კათოლიკეთა წესზედ დაქორწინება კანონიერი არ იყოსო, მით უფრო, რომ ჩვენს ქორწინებას არავინ არ დასწრებიაო და ამიტომ ასტეხია უმაწვილ-კაცს და ჩივილი და წუწუნი დაუწყვია, რომ მე შენს კანონიერ მეუღლედ არ ვითვლებიო. ლანგვერძის ქალის დასამშვიდებლად წაუყვანია ეს ქალი ანტვერპენში და იქ ფულით უშოვნია ისეთი კაცები, რომელნიც მასთან ერთად ცდილან ქალის მოტყუებას. ერთის მოსყიდულის კაცისათვის კონსულად ჩაუცმევინებია, მეორე მღვდლად გადაუქცევია და ხელ-მეორედ დაუწერია ჯვარი ქალზედ თავის მიერ მოსყიდულ კაცთა თანადასწრებით და მოწმობით. ამ ქორწინების შემდეგ ახალგაზდათ დაუწყვიათ მოგზაურობა. ლისაბონში, გემში ჩაჯდომის დროს, ქალს უთქვამს უმაწვილ-კაცისათვის, რომ ფეხ-მძიმედ ვარო და იმედი ჰქონია, რომ ძალიან ესიამოვნება ეს ამბავიო, მაგრამ, პირ-იქით, უმაწვილ-კაცს ბრაზები გაუყრია, გაწყრალა, გაგულისებულა და წყევა და შეჩვენება დაუწყვია უმაწვილისა. ამ დღიდგან უმაწვილ-კაცის ერთად-ერთი ზრუნვა და ფიქრი ისა ყოფილა, რომ ალვსთოლ როგორმე დედა-მიწის პირიდგან უმაწვილიც და უმაწვილის დედაც, რომელნიც ჩვენი ურიგო და არა-პატიოსნური საქციელის მოწმენი არიანო. მოგზაურობის დროს უმაწვილ-კაცს უცდია ქალისათვის სიმშილით სული ამოერთმევინა, სხვა-და-სხვა მავნებელი საჭმელები უჭმევია და მოსულან თუ არა ბუენოს-აირესში, დაჭპირებია ქალს წელიწადში 3,000 მანათს და მარტოდ-მარტო, უფულოდ, უმოსამსახურეოდ, მგლისა და დანჯღრეულის გემით გამოუსტუმრებია ქალი სახლში.

ქალი ბევრის ტანჯვითა და წვალებით მოსულა ინგლისში. უცოდნია, აი ეხლა მივიღებ დაპირებულს 3,000 მანათს, აი ეხლაო, მაგრამ წყალს ჩაუტარებია ეს დაპირებული ფული. ქალს წერილი მიუწერია, დაუწყვია ხვეწნა, მუქარა, უჩივლია კიდეც სასამართლოში, მაგრამ ვერაფერს გამხდარა-რა, რადგან უმაწვილი-კაცი დიდის შეძლების პატრონი იყო და ქალს-კი არა მოეპოვებოდა-რა. ბოლოს სასამართლოს შეუწყნარებია ქალის საჩივარი და ლანგვერძისათვის გადაუწყვეტიათ, რომ 200,000 მან. უნდა გადაუხადო ქალსა, რადგან შერთვას დაჰპირებიხარ, შეგიცდენია სატოდავი ქალი და დანაპირევიც აღარ აგისრულებიაო.

ამ გვარად თითქმის საქმე ქალის სასარგებლოდ გადაწყდარა, 200,000 თუმნით კარგად იცხოვრებდა, მაგრამ ამ დროს უპატიოსნო ლანგვერძის დედასთან პირობა შეუკრავს და გამოუცხადებია, რომ გავკოტრდი, ფული აღარა მაქვს და ვერ გადავუხდი სასამართლოს მიერ დანიშნულს ფულს ქალსაო. დედისათვის მიუცია ყალბი ვექსილები, თავის მამულები სულ საჯაროდ გაუყიდვინებია და ამ გვარად ხელი მოუცრია მართლ-მსაჯულებისათვის, რომ ქალის შეურაცხყოფისათვის დაესაჯნათ.

აი სწორედ ამ დროს სრულიად დაუძლურებულსა და იმედ-მიხდილს ქალს მოუჭკრონებია გაზეთი და მიუმართავს „Pall-Mall Gazette“-ის რედაქციისათვის. ერთის კვირის შემდეგ მთელმა ინგლისმა გაიგო თურმე ეს ამბავი დიდით-პატარამდე და ყველა აღშფოთებულა ლანგვერძის უსამართლობით სატოდავის ქალის მიმართ. მაშინვე გაზეთებს გაუმართავთ ხელის-მოწერა, მოუგროვებიათ 12,000 მანათი და ჩაუბარებიათ ქალისათვის. ამ ფულით ქალს უნდა თურმე დევნა დაუწყოს უმაწვილ-კაცს ლანგვერძს კანონიერის გზით და სასამართლოში საჩივარი არ მოსპოს იმ დრომდე, ვიდრე უმაწვილი-კაცი დასჯილი არ იქმნება როგორმე, მაგრამ უეჭველია ქალი საჩივრებსა და სასამართლოებში სიარულს თავს დაანებებს, რადგან გაზეთში ამ ამბის გამოცხადებას ისე შეუფუცხუნებია და შეუშინებია უმაწვილი-კაცი, რომ იმის ვექილები ქალსა სთხოვენ თურმე: რამდენი ფულიც გინდა, გამოგვართვი, მოგცემთ, ოღონდ ეს ამბავი დაივიწყებას მიეცი და თავი დაანებე უმაწვილ-კაცის დევნასაო.

**

თუთიყუში სასამართლოში მოწმად. დუბლინში ამას წინად შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა. საქმრო ახალგაზდა უმაწვილ-კაცი თავის სასიმამროსთან იჯდა თურმე დიდხანს და შემდეგ საცოლოს ოთახში მოიწადინა შესვლა. მივიდა კარებთან, ნელად დააკაკუნა ოთახის კარი და მაშინვე კარებთან ჩამოკიდებულ გალიაში მყოფ თუთიყუშმა ხმა გამოსცა თურმე: „შემოდიო“; შეაღო თუ არა კარები, მოისმა კოცნის ხმა, რომელსაც აგრეთვე თუთიყუშს აწერენ. საქმრო შევიდა თურმე და ნახა, რომ იმის საცოლოსთან ვიღაც უმაწვილი-კაცი ჰზის და გაცხარებული ბაასი და ლაპარაკი აქვსთ ერთმანერთში. გონებაზედ არ იყო ჯერ მოსული თურმე გაკვირვებული და გაოცებული უმაწვილ-კაცი-საქმრო ამისთანა შემთხვევით, რომ თუთიყუშმა საშინლად გადიხარხარა. საქმრო მაშინვე გამოვარდნილა ოთახიდგან და სახლიდგან უარი შემოუთვლია ქალისათვის, რომ მე შენი შემრთველი აღარა ვარო. ეხლა ამ საქმის გარჩევა სასამართლოშია დანიშნული და საქმრო დაბეჯითებით გაიძახის თურმე, რომ თუთიყუშიც მოიყვანეთ სასამართლოში როგორც მოწამე და სასამართლოს წინ განიმეოროს, თუ რა კარგად სტოდნია მიბაძვა კოცნისა და ხარხარისაო. ეს ამბავი კვლავ გვარწმუნებს, რომ თუთიყუშებს მარტო ულაგო-ალაგას-კი არ უყვართ სიტყვების რახა-რუხი, არამედ თითქმის სულ იმასა სცდილობენ, რომ ადამიანს თავის უბედობით რაიმე ზიანი და ზარალი მიაყენონ. მთელი წიგნი აივსებოდა ყველა რომ დაგვეწერა, რამდენი უბედურებაც მომხდარა და უთანხმოება ჩამოვარდნილა ადამიანთა შორის ამ ენა-გრძელ ფრთოსანთა წყალობით და მეოხებით.

## დეპეშა

19 ივნისი

პარიჟი. კრიტის კუნძულზე დიდი მოძრაობაა. შიშობენ, რომ არეულობა არ მოხდეს. ამ ამბის მიზეზად ინგლისს ასახელებენ, რომელსაც ჰსურს კუნძულზე ფეხი მაგრა მოიკიდოს.

ბელგრადი. რისტიჩის ცირკულიარი აუწყებს სერბიის წარმომადგენელთ სამზღვარ-გარედ, რომ სამინისტროს ცვლილება შინაურმა საქმეებმა გამოიწვიეს და სერბია შემდეგშიაც მშვიდობიანობის და წესიერების დამცველი იქნება ბალკანის ნახევარ-კუნძულზეო.

20 ივნისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის თაობაზე, რომ გავრცელებულ იქმნას უფლებანი სახელმწიფო ბანკისა მემამულეთა ვალების შესახებ: ბანკს უფლება ეძლევა სხვა ვალისათვის გადასდოს თამასუქით აღებული ვალი მემამულეთა. გამოცხადებულია აგრეთვე აზრი საბჭოსი იმის თაობაზე, რომ შეუერთდეს ტაგანროგის გარადონაჩალსტვო და როსტოვის მაზრა დონის ჯარების ოლქასაო.

უმთავრესის შტაბის აზიურ განყოფილების გამგედ დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი კოსტენკო.

პარიჟი. იმის გამო, რომ ბულანჟე უქიათ პატრიოტების საზოგადოების კრებაზე, ამ საზოგადოების განყოფილების წევრთ ბორდოსა და ბაიონში უარი უთქვამთ წევრობაზე.

რომი. დეპუტატთა პალატამ გადასდო 30 მილიონი ლირი აფრიკის საქმეებისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 19-ს ივნისს
ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 265½ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | 98¾ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 98 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | 83¾ | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

**21 დღე კვირა.** წმ. მოწ. იულიანესი და ტერენტისა; წმ. საქართველოს მეფეთა არჩილისა და ლუარსაბისა. კათოლ. ალოიზისა და ავრელიანისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტფილისში დაიწყეს გამოცემა „ამიერ-კავკასიის მოამბისა“, 1836 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 13 დღისაა.

**22 დღე ორშაბათი.** მოწ. ევსევი ეპისკ. კათოლ. პავლინასი და ფლავიასი სომეხ. წმ. მოწ. ანტონინოსი, თეოფილესი და სხვათა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7 —37. მთვარე 14 დღისაა.

**23 დღე სამშაბათი.** ქალწ.-მოწ. აგრიპინასი. კათოლ. აგრიპინასივე, ზენონასი და ზენისა. სომეხ. წმ. დანიელ წინ.-მეტყ. და სამთა ყრმათა. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4: ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7—37. მთვარე 15 დღისაა.

**24 დღე ოთხშაბათი.** შობა ნათლისმცემლისა წმ. იოანე წინამორბედისა. აგრეთვე კათოლიკეთა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—31, ჩადის 7—37. მთვარე 16 დღისაა.

Дозв. цен. Тиф. 18 iюня, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე